№ 273

შაბათი, 16 დეკემბერი, 1900 წ.

გაზეთის ლირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 273

შაბათი, 16 დეკემბერი, 1900 წ.

რედაქცია:

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

ფასი განცხადებისა:

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

## „ივერია“

გამოვა 1901 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქცია,

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიას

სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა და

ბაქოში, ხიდეკელის წიგნის მაღაზიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზედ, ქალანთაროვის ქარვასლის პირ და-პირ.

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

შეღავათი წლიურ ხელის-მომწერთათვის: ვინც გაზეთს ამ თავით მთელის წლით დაიბარებს, იმას შეუძლიან წლის ხელ-მოსაწერი ფული ნაწილ-ნაწილად შემოიტანოს ამგვარად: ხელის მოწერის დროს 3 მან., პირველ მარტს—2 მან., პირველ მაისს—3 მან. და პირველ სექტემბერს—2 მან. სოფლის მასწავლებელთ გაზეთი წელიწადში 8 მანეთად დაეთმობათ, ნახევარის წლით—4 მან.

## მარგვეთის მწარმოებელთა საბჭო

ამითი აცხადებს, რომ 20 ამა დეკემბერს, დღის 12 საათზედ, ქ. ქუთაისში, საბჭოს სადგომში, ვაჭრობა იქმნება გამართული, რათა იჯარით გაიცეს მუშაობა ხის ხიდის გაკეთებისა მდ. ყვირილაზედ დაბა ჭიათურაში. ამ ხიდისათვის ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულია 3365 მან. 28 კაპ.

ვისაც ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება ჰსურს, ვაჭრობის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს წინდი (ბე) ნაღდ ფულად, ანუ მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ სარგებლიან ქაღალდებით 10% ხარჯთ-აღრიცხვით გადადებულის ფულისა.

ხარჯთ აღრიცხვისა, ნახატებისა და პირობათა გასინჯვა შეიძლება ყოველ დღე საბჭოს სადგომში. მომხდარი ვაჭრობა უნდა დამტკიცებულ იქმნას საბჭოს მიერ. (3—6.—2)

## კონცერტი

გამართავს პიანინოს დამკვრელი ს. ნ. იაკიმოვსკისა მომღერალ-ქალის ლ. ფ. ფერტიგის მონაწილეობით, ტფილისის საკრებულოს დარბაზში, 16 დეკემბერს. დასაწყისი საღამოს 8½ საათზედ. როიალი ბეკკერისა. ბილეთები ყოველ დღე იყიდება საკრებულოს შვეიცართან: დილით 11—3 საათამდე, საღამოთი—7 საათიდგან. (4—262—4)

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ზ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. ი. ჩიქოვანი. 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაგანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ბძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

ვ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ზ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არვანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—12½—1½ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. გელოვოლოვი—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი მიხეილ გედევანიშვილი

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

„გიჟთა ქალაქი“.—როგორ ხერხსა ჰხმარობენ ლონდონელი რედაქტორები გაზეთის გასასაღებლად.—ქოლგა თუ ჯოხი? ლონდონის ყოფაქცევა.—ამერიკელნი მილიონერნი და ტრესტები.—ევროპის არისტოკრატნი და ამერიკის მილიონერნი.—მოქეიფე და ფულის მფლანგავი მილიონერნი.

„გიჟთა ქალაქის“ სახელით ბელგიაში ერთი პატარა ქალაქი მონათლეს—გეელი, რომელიც ანტვერპენიდგან 27 მილის მანძილზედ მდებარეობს. გეელში სულ 13 ათასი მცხოვრებია. არის იქ უმაღლესი სასწავლებელი, ორი ეკკლესია, მრავალი ქარხანა, ტელეფონი და სხვა. მაგრამ გეელი მაინც სულით ავადმყოფთა სიმრავლითაა შესანიშნავი და არა ამ ქარხნებით, უმაღლესი სასწავლებლით, ტელეფონით.

დიდი ხანია, რაც გეელი სულით-ავადმყოფთა ახალშენად ითვლება და თითქმის მთელ ბელგიიდგან ამ გვარს ავადმყოფებს იქა ჰგზავნიან. უფრო საშიშ და მოუსვენარ ავადმყოფებს გეელის მახლობლად არსებულ თავშესაფარში აწვენენ, ხოლო წყნარსა და მშვიდობიანებს ადგილობრივ მცხოვრებთ აბარებენ მოსავლელად. აი ასეთი წყნარი ავადმყოფი გეელში დღეს 1,500 სცხოვრობს. ავადმყოფნი თავისუფლად დადიან ქუჩებსა, ბაღებსა, რესტორანებსა და ყავახანებში, არავის არაფერს უშავებენ და არც არავინ იმათ უშავებს რასმეს. არსად არ ექცევიან ისე კარგად სულით ავადმყოფთ, როგორც გეელში. ყველგან სხვაგან ავადმყოფის გავლა ქუჩაში ყვირილსა, ხმაურობასა, სიცილსა და ხარხარს იწვევს, გეელში კი ისე შეეთვისნენ სულით ავადმყოფთა მოვლასა და პატრონობას, რომ პატარა ბავშვებიც-კი პატივით, ზრდილობიანად და მამაშვილურად ექცევიან. ხშირად ბავშვები და სულით ავადმყოფნი ერთად თამაშობენ ქუჩაში, შეჰხვდებით ისეთ ავადმყოფსაც, რომელიც გულმოდგინედ შველის დიასახლისს, აკვანს არწევს, თეფშებს ჰრეცხავს, ან სხვა რამ საქმეს აკეთებს. ზოგჯერ ვერც-კი გაიგებთ, სულით ავადმყოფთანა გაქვთ საქმე თუ არა. ასეთ ავადმყოფს ერთი რამა აქვს ხოლმე ამოჩემებული და ვიდრე იმაზედ არ ჩამოაგდებს ლაპარაკს, ვერაფერს გაიგებთ.

არის გეელში, მაგალითად, ერთი ავადმყოფი, რომელსაც ჰგონია, რომ ორი მარცხენა ფეხი აბია. ყველას, ვისაც-კი ქუჩაში შეჰხვდება, ამ „უბედურებაზედ“ შესჩივლებს ხოლმე. მეორე აცხადებს კიდევ, ფრენა შემიძლიან, მაგრამ ეხლა ისე გავსქელდი, რომ ვეღარ ვახერხებ ცაში ნავარდობასაო. ამ კაცმა წინად რამდენჯერმე დააპირა თურმე მეორე და მესამე სართულიდგან „გაფრენა“, მაგრამ მომვლელმა დაარწმუნა, რომ ძალიან სქელი ხარ და ვერ გაფრინდებიო. ავადმყოფმაც დაიჯერა ეს სიტყვები. მესამეს კიდევ, ჩხირსავით წვრილსა და გამხდარს, თავისი თავი მეტად სქელ კაცადა აქვს წარმოდგენილი. საწყალი, სახლიდგან გარეთ არ გადის, კარებში ვერ გავეტევიო.

არის გეელში ერთი ავადმყოფი, რომელიც ქუჩა-ქუჩა დარბის და ევედრება ყველას, დამმალეთ სადმე, პეპელა დამდევს ტვინის ამოსაწუწნადაო. მეორე ავადმყოფს კიდევ თავისი თავი თესლი ჰგონია, როდესაც შეჰხვდება ვი-მეს, ჯიბეში უპირებს ხოლმე ჩაძრომას, ქარი მოტაცებას მიპირებს და დამმალეო. ერთხელ ამ ავადმყოფს ტირილით გამოუცხადებია სახლში, წიწაკის თესლი ვარ და ჩიტები დამდევენ შესაჭმელადაო.

გეელში დრეიფუსები, ნანსენები და სხვა შესანიშნავი კაცებიც არიან. ყველა ამათ თავიანთი თავი დიდ კაცებადა აქვთ წარმოდგენილი. ისეთი ავადმყოფიც არის, რომელიც მატარებლადა სთვლის თავისს თავს. სასაცილოა, როდესაც ეს ავადმყოფი ქუჩაში მიდის: ძალზედ უსტვენს, ბოხი ხმით გუგუნებს, ვითომ მატარებელი მოდის, და ჩამომეცალეთო. მეორე ავადმყოფს თავი მინათ წარმოუდგენია. ქუჩაში წყნარად დადის, ყველას ერიდება, არავის დავეჯახო და არ დავიმსხვრეო. მესამეს კიდევ წამ და უწუმ ხელი ცხვირთან მიაქვს, ჰგონია, ბუზი მაზის ცხვირზედაო, და იგერიებს. ხშირად შეხვდებით გეელში პატარა გოგოსაც. გასაღებით ხელში, ეს გოგო ხან ერთს ხეს მიჰვარდება, ხან მეორეს და გასაღებით უჩხიკინებს, ვითომ საათია და უნდა მოვმართოო.

შეუძლებელია ყველა ავადმყოფთა აღწერა და მათის ზნე ხასიათის ჩამოთვლა. ახლად მისულ კაცს ანცვიფრებს და აკვირვებს ამ ავადმყოფთა ოცნების სხვა-და-სხვაობა და უცნაურობა, მაგრამ გეელელები ისე მიეჩვივნენ ყველა ამას, ისე გულ დადებით უვლიან და პატრონობენ ავადმყოფთ, რომ უიმათოდ ვეღარც კი გაჰსძლებენ. თუ შენც დამეთანხმები, მკითხველო, გეელისთვის უსამართლოდ უწოდებიათ „გიჟთა ქალაქი“: გეელში გიჟებს აჭკვიანებენ, სხვაგან კი ჭკვიანებს აგიჟებენ.

* *

ვინ არ გაგიჟდებოდა, მაგალითად, თუნდა ლონდონში ამ ერთის თვის წინად: ისე ვერ გაივლიდით თურმე ქუჩაში, რომ 15—20 კაცი არ დაგდევნებოდათ უკან, თვითეულს მათგანს ჟურნ. „Pearson's Weekly“-ს ნომერი არ ეჩვენებინა და არ ეკითხნა: თქვენ ხომ არა გაქვთ ას მანეთიანი ბილეთიო?“

ეს „გასაგიჟებელი“ საქმე გამოიგონა „Daily Express“-სა და „Pearson's Weekly“-ს რედაქტორმა პირსონმა. ერთ-ერთ წინანდელ ფელეტონიდგან მკითხველები უკვე იცნობენ ამ ქუჩის გაზეთებსა და იმათ რედაქტორს პირსონს. ისიც იციან, პირსონი რა ხრიკებსა ხმარობს თავისის გაზეთის გასავრცელებლად და გასადიდებლად. აი სწორედ ამ პირსონმა ოქტომბრის პირველ რიცხვებში თავისს ნაცნობებს შორის ამოარჩია ორმოცი სანდო კაცი, გადასცა თითოს თითო დაბეჭდილი კონვერტი და გაგზავნა სამოგზაუროდ. ამ კაცებს ყველგან უნდა ეარათ: ქუჩებსა, რესტორანებსა, თეატრებსა, რკინის გზებზედ და სხვაგან. კონვერტებში წერილები ეწყო; თითო ასეთის წერილის ძალით რედაქციიდგან ასის მანეთის გამოტანა შეიძლებოდა. კონვერტი დამტარებელს იმისთვის უნდა გადაეცა, ვინც ჰკითხავდა: „თქვენ ხომ არა გაქვთ ასს მანეთიანი ბილეთიო?“ და ამასთან ზემოხსენებულ კვირეულ ჟურნალის უკანასკნელ ნომერს უჩვენებდა. ყველა ეს პირსონმა, რასაკვირველია, გაზეთში გამოაცხადა, ამასთან დაუმატა, ეძებეთ „ასს მანეთიანნი“, ვინც იპოვნის, ფულს მიიღებსო; და გაზეთის მკითხველებიც შეუდგნენ ძებნას. ქუჩებსა, რესტორანებსა, თეატრებსა, ცხენის რკინის გზის ვაგონებში მხოლოდ-ღა ეს ერთი წინადადება გაისმოდა: „თქვენ ხომ არა გაქვთ ასს მანეთიანი ბილეთიო“. მოხუცი ახალგაზდასა ჰკითხავდა, ახალგაზდა კიდევ მოხუცს, ქალი კაცსა და კაცი ქალს. ყველას-კი ჟურნალის ნომერი ეჭირა ხელში. რათა უფრო წაექეზებინა მკითხველები, პირსონი ყოველდღე ჰბეჭდავდა გაზეთში როგორც ამ კონვერტების დამტარებელთა, აგრეთვე იმათ წერილებს, ვინც

ექიმი
ნიკო ერისთავი,
ველიამინოვის ქუჩა № 34, ქ. ტფილისში იღებს ნერვებისა და შინაგან სნეულებით ავადმყოფთ (გულის, ფილტვების, სტომაქის სატკივარნი) დილის 9—11 საათ., საღამოს 5—8 საათამ. აგრეთვე ავადმყოფ ბავშვებს. (10—261—3)

## უკვლად ღირსეული სტეპენ ია

სწორედ ჩინებული ადამიანი უნდა ყოფილიყო ის, ვინც პირველად მოიგონა საზოგადოებრივი სტეპენდია რომელიმე გამოჩენილის ადამიანის პატივსაცემად და სახსოვრად. ამაზე უკეთესი, ამაზე მომხიბლავი დაწესებულება ძნელად მოიპოვება ქვეყნიერებაზე. ჩააკვირდით საქმის შუა გულსა და თქვენთვის ცხადი შეიქმნება, რომ სტეპენდიას მოაქვს არა ერთი, არამედ რამდენიმე სიკეთე. იგი განახორციელებს გულითადს პატივისცემას საზოგადოებისას იმისადმი, რომელიც ჭეშმარიტად ღირსია ამ პატივისცემისა; იგი უკვდავს ჰყოფს იმის სახელს, რომელმაც ეს უკვდავება დაიმსახურა მადლიანი შრომით საზოგადო ასპარეზზე. ეს პირველი სიკეთე.

მეორე სიკეთე სტეპენდიისა იმაში მდგომარეობს, რომ იგი როდია უსულდგმულო ძეგლი, რომელიც არავის არაფერს არგებს. სტეპენდია არის ცოცხალი თანხა, რომელიც აძლევს ღონისძიებასა ნიჭიერთა და ღარიბთა ყმაწვილ კაცთა დაეწაფონ სწავლის წყაროსა, განვითარდნენ და მოემზადნენ საბრძოლველად ყოველ ბოროტების წინააღმდეგ, რომელიც კი გზაზედ გადაჰღობებია ქვეყნის ბედნიერებასა.

მესამე სიკეთეც ცხადია. სტეპენდიის არსებობა ძლიერ ეხმარება ზნეობრივს სისაღეს საზოგადოებისას, რადგანაც მასში აღძრავს და აღორძინებს სიყვარულს საზოგადო ინტერესისას, რომლის სამსახურს მოსდევს ასეთი სასიქადულო პატივი, ასეთი სახარბიელო ჯილდო. სახელით დამატკბობელი დამსახურებული კაცისათვის, სახრავით სტეპენდია ემსახურება იმავე საზოგადოებას, რომელმაც გამოიღო თანხა მის დასაარსებლად.

დიაღ, სწორედ ცხონებული უნდა იყოს სტეპენდიის მომგონი ადამიანი.

მეტადრე მომხიბლავს ჩაბეჭდილებას სახავს ადამიანის გულში სტეპენდია მაშინ, როდესაც იგი ნაძღვნევი აქვს იმისთანა დამსახურებულს ადამიანს, რომელიც საზოგადოებას ემსახურება არა მარტო გონებრივის შრომით, არამედ კაცთ-მოყვარე გულით, თავისის პატიოსნის, წმინდა ცხოვრებითაც. ნუ ვინ იტყვის, რომ კერძო ცხოვრება აქ მოსატანი არ არისო. ჩვენში ბევრს არა აქვს შეგნებული ის აზრი, რომ ქვეყნიერებაზე არ იკარგება არა მარტო ნივთიერი რამე, არამედ ზნეობრივი ენერგიაც, რომელიც ხორციელდება მადლიანს ცხოვრებაში. წმინდა, პატიოსანი ცხოვრების მიმდევნი თავისს ზნეობრივს მადლიანს ძალას ჰფენს თავის გარშემო არა მარტო სიცოცხლის დროსა, არამედ სიკვდილის შემდეგაც, ჰპოულობს მიმბაძავთ, რომელნიც განაგრძობენ და უკვდავ ჰყოფენ მის მადლიანს ხასიათსა და მის სპეტაკს ზნესა, და ამდიდრებენ ქვეყანას ზნეობრივის თანხით, რომელიც ბევრად უკეთესია ქონებრივს თანხაზედ.

ამიტომ ბედნიერია ის ადამიანი, საზოგადო ასპარეზზედ მომქმედი, რომელიც ნაყოფიერს შრომასთან ერთად მტკიცედ ადგია ეთიკურს პრინციპებს, თავის ცხოვრებაში და თავის გარეშე ჰფენს ზნეობრივს მადლსა და სითბოსა. ამისთანა ადამიანები მოგაგონებენ მოციქულებს და შეადგენენ მარილს ქვეყნისასა.

მეორე მხრივ უბედურია ადამიანი, რომელიც ცალის ხელით ემსახურება რომელსამე დარგს, ანუ შტოს საზოგადო საქმისასა და მეორე ხელით უხვად სთესავს საზოგადოებაში ღვარძლსა, რომელიც ამოდის, მრავლდება, შხამავს თანამემამულეთა აღორძინებას და ზრდის ზნეობრივს დეფიციტს, ჰხრწნის ქვეყანასა და აქარწყლებს მის ნაშრომსაცა და სხვებისასაცა.

ამ მიმავალის წლის დასაწყისში ქართველმა სტუდენტობამ ერთის საუნივერსიტეტო ქალაქისამ მოიწადინა დაარსება სტეპენდიისა სახსოვრად და პატივსაცემლად ერთის დამსახურებულის ქართველის პროფესორისა, რომელიც ოცდა ათის წლის ჩინებულის სამსახურის შემდეგ თავს ანებებს თანამდებობას. აი სწოდ ამ შემთხვევამ გამოიწვია ის აზრები, რომელიც ჩვენ განვუზიარეთ მკითხველსა.

ჩვენ ამ პროფესორს ვიცნობთ პატარაობიდანვე, კარგად გვაქვს გათვალისწინებული მისი ცხოვრებაც, როგორც კერძო ადამიანისა, მისი ღვაწლი, როგორც პროფესორისა და ქართველი მწერლისა, და მოვალეობა გვაიძულებს ვაღიაროთ, რომ იგი ეკუთვნის ჭეშმარიტად პირველის ტიპის ქართველებსა და მთელს თავისს სიცოცხლეში სთესდა ორივე ხელით მხოლოდ წმინდა პურსა, რომელშიაც არც ერთი ღვარძლი არა მოიპოვება.

ჯერ მაგალითი არ ყოფილა, რომ ქართველი პროფესორი, გამწესებული რომელსამე საზოგადო კათედრაზე და არა აღმოსავლეთის ფაკულტეტზედ, არ მოსწყდომოდეს თავისს სამშობლოს, არ დაევიწყებინოს თავისი ენა, ლიტერატურა, ისტორია, მთელი საქართველო მისი წარსულითა და აწმყოთი. სასიქადულო გამოკლებას შეადგენს მხოლოდ ეს პროფესორი, რომელსაც ქიმიით გატაცებამაც კი ვერ შეუსუსტა სამშობლოს სიბრალული და სიყვარული, რომელიც ერთი ხელით ემსახურებოდა მეცნიერებას, კაცობრიობას, და ჩინებულადაც ემსახურებოდა, და მეორე ხელით ეშველებოდა გაჭირვებულს სამშობლოს და ამდიდრებდა ქართულს ლიტერატურას კაპიტალური თხუზულებითა, და რომელსაც სწორედ შეესაბამება პოეტის სიტყვები: „რომ ბედში მეოფი შენ ძმად მიგაჩნდეს, მე გვერაფერი სიყვარულია, საქმე ის არის, კაცს ის უყვარდეს, ვინც ბედისაგან დაჩაგრულია“.

ვგზავნი პროფესორი პეტრიაშვილის სტეპენდიის შესამატებლად ოც და ხუთს მანეთსა, და ვწუხვარ, რომ ამ ჟამად მეტის გამოღება არ შემიძლიან. ვთხოვ ყველა შეგნებულს ქართველს, ნუ დაიშურებს თავისს წვლილს ამ ყოვლად ღირსეულის, მეტად სიმპატიური სტეპენდიის თანხის გასაძლიერებლად.

ბოლოს ბოლოში ვიხდი პატივცემულის ვასილ მოსეს ძის წინაშე, თუ, სიმართლის ხმა-მაღლად გამოაშკარავებით, რასაც მოითხოვს მიძინებულის საქმის გაღვიძება და დაგვირგვინება, შევაძრწუნეთ მისი ყველასაგან ცნობილი თავმდაბლობა.

იაკობ გოგებაშვილი

# ახალი ამბავი

*⁎* 13 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, კავკასიის მთავარ-მართებლის თავ. გ. ს. გოლიცინის თავმჯდომარეობით, რუსეთის წითელის ჯვრის საზოგადოების კავკასიის ოლქის გამგეობის წევრთა საზოგადო კრება მომხდარა.

*⁎* უწმ. სინოდი პირველ დაწყებით სწავლა-განათლებისათვის 1901 წ. $3^1/_2$ მილიონ მანეთსა თხოულობს.

*⁎* ხვალ, 17 დეკემბერს, ნაშუადღევს 1-ლ საათზედ კავკასიის სააბრეშუმო სადგურის დარბაზში პირველი კავკასიის მეაბრეშუმეთა კრება მოხდება. კრებაზედ გარეშეთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*⁎* ჩვენს მკითხველებს ეხსომებათ, რომ 8 დეკემბერს ქალაქის სასწავლებელთა გამგე-კომისიამ დაადგინა ქალაქის საკუთარი სახლები დაეთვალიერებინათ, თუ სად უფრო მოსახერხებელი იქმნებოდა პუშკინის სახელობაზედ დასაარსებლად განზრახულ ქალაქის სახალხო წიგნთ-საცავ სამკითხველოს მოთავსება. კომისიის მინდობილებით გამგეობის წევრს თავ. არღუთინსკი-დოლგორუკოვსა და საბჭოს მდივანს ს. ჰრელაშვილს ქალაქის ხუროთ-მოძღვართან ერთად უკვე დაუთვალიერებიათ რამდენიმე სადგომი; მათის აზრით, წიგნთ-საცავის მოთავსება უმჯობესი იქმნება ალექსანდრეს ბაღში, ალექსანდრე ნეველის სამხედრო ეკკლესიის გვერდით, ქალაქის შენობაში, რადგანაც ადგილიც ხალვათია და შენობაც, რომელსაც უნდა მეორე სართული დაედგას, განცალკევებულია, ასე

დამტარებელი იპოვნა და კონვერტი ჩაიგდო ხელთ. ზოგი დამტარებელი სწერდა, მაგალითად, რომ ამა და ამ რესტორანში ვიყავი, გვერდით ასეთი და ასეთი ყმაწვილი ქალები და კაცები მესხდნენ, მაგრამ ვერავინ-კი ვერ გაიგო, რომ „ასს მანეთიანი“ ვიყავიო.

ადვილი წარმოსადგენია, ასეთის ეშმაკობის წყალობით პირსონის ჟურნალს რა გასავალი ექმნებოდა: დიდით-პატარამდე და ქალით-კაცამდე ყველა სცდილობდა ჟურნალის ყიდვას და „ასს მანეთიანის“ „დაჭერას“. პირსონმა სულ 4000 მანეთი დახარჯა, ხოლო შემოსავლით რამდენიმე ათი-ათასი მანეთი შეიძინა. ამ საქმემ სტატისტიკოსნიც-კი დააინტერესა: ეს ვაჟბატონნი გულ-მოდგინედ შეუდგნენ თურმე იმის გამოკვლევას, ორის კვირის განმავლობაში რამდენჯერ წარმოითქვა წინადადება: „თქვენ ხომ არა გაქვთ ასს მანეთიანი ბილეთი?“.

* * *

მაგრამ თავ-სატეხი ბ-ნ სტატისტიკოსებს მარტო პირსონმა არ გაუჩინა. ამას წინად ლონდონის პოლიციამ გამოაქვეყნა თავისს მოქმედების ანგარიში 1899 წლისა. ანგარიშში, სხვათა შორის, მოხსენებულია, რომ წლის განმავლობაში ვაგონებსა, ომნიბუსებსა, ეტლებსა და სხვაგან პოლიციამ იპოვნა მგზავრების მიერ დატოვებული 876 ჯოხი და 17,497 ქოლგაო. აი სწორედ ამ ამბავმა დააფიქრა სტატისტიკოსნი. რითი აიხსნება, ამბობენ ისინი, რომ ხალხ ქოლგას უფრო უმადურად ექცევა, ვიდრე ჯოხსაო? მართლაცა-და, რომ დაუკვირდეთ, ძნელი ასახსნელია ასეთი უმადურობა ქოლგის მიმართ, მაშინ, როდესაც ქოლგას ბევრად უფრო მეტი სარგებლობა მოაქვს კაცისთვის, ვიდრე ჯოხს. ჯერ ერთი, ქოლგა ცუდი ამინდის დროს დასველებისაგან იფარავს კაცს, მეორე — სიცხეში მზის სხივებისაგან იხსნის, მესამე — უადვილებს პატრონს მოვალისაგან გაქცევასა და დამალვას. ამდენს სიკეთეს უწევს და კაცი-კი ათასობით ვაგონებში სტოვებს!.. აშკარაა, ქოლგის წინაშე უმთავრესად დანაშაული ქალებს მიუძღვით: ქოლგებს ისინი უფრო ხმარობენ, ხოლო გულ-მავიწყობით „სუსტმა არსებებმა“ დიდი ხანია უპირველეს ფილოსოფოსებსა და მეცნიერებს გადააჭარბეს.

ზემოხსენებული ანგარიში ბევრ სხვა საყურადღებო ცნობასაც გადმოგვცემს. მაგალითად, მოგზაურებს ეტლებსა და ვაგონებში დარჩენიათ 210 საათი და 763 დურბინდი. ერთ კაცს ეტლში გალიაც-კი დარჩენია, რომელშიაც მშვენიერი და კოხტა ბუ მჯდარა. სულ კი დარჩენილ ნივთების რიცხვი 39,551 ცალია თურმე. რაიონი, რომელსაც ლონდონის პოლიცია განაგებს, 688 ოთხ-კუთხ მილს შეიცავს. 1899 წელს ლონდონში სულ 6,620,434 მცხოვრები იყო. გასაკვირველი არ არის, რომ ამ უზარმაზარ ქალაქში პოლიციამ მრავალი ნივთი იპოვნოს, მგზავრების მიერ გულ-მავიწყობით დატოვებული.

ეს ანგარიში ლონდონის ყოფა ქცევასაც გვაცნობს: დაწვრილებით აღნიშნულია წლის განმავლობაში რამდენი და რაგვარი დანაშაულობა მომხდარა. ანგარიშით ერთი დანაშაულობა 416 კაცზედ მოდის. მკვლელობა მომხდარა სულ 21, ხოლო თვით-მკვლელობა — 622. აშკარაა, ლონდონში კაცს თავისს თავისაგან უფრო მოელის ხიფათი, ვიდრე სხვათაგან. ამასთან თვით-მკვლელობა უფრო ხშირი მოვლენაა მდიდართა, ვიდრე ღარიბთა შორის.

* * *

ამ მხრივ ამერიკა ბევრად ბედნიერი ქვეყანაა მდიდართათვის ინგლისთან შედარებით; იქაური ჰავა მაგრე რიგად არ უწყობს მდიდრებს ხელს და თავს არ აკვლევინებს: თვით-მკვლელობა ამერიკელ მდიდართა შორის მეტად იშვიათი მოვლენაა. უთუოდ ამავე ჰავის წყალობით მრავლდებიან სოკოსავით მდიდარნი ამერიკაში. მდიდარს ყველგანა და ყველა ხალხს შორის შეჰხვდებით, მაგრამ ამისდა მიუხედავად, სიმდიდრე ყველგან მაინც იშვიათ მოვლენას შეადგენს. უმდიდრეს კაცად დღეს მთელ დედამიწის ზურგზედ შესანიშნავი დიპლომატი, ჩინელი ბისმარკი, ლიხუნჩანგი ითვლება. ამ კაცს ერთ მილიარდ მანეთის შეძლება აქვს. მაგრამ 400 მილიონ ჩინელთა შორის ლიხუნჩანგი ერთად-ერთი მდიდარი კაცია. იშვიათ მოვლენას სიმდიდრე მხოლოდ ამერიკაში არ შეადგენს. იქ მდიდართა რიცხვი, მგონი, ღარიბთა რიცხვსაც-კი აღემატება.

როგორც ამერიკულ ჟურნალების მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, იმ მდიდართა რიცხვი, რომელთა ქონებაც (თითოსი) ორ მილიონ მანეთს აღემატება, 4000-ია თურმე. ამათგან.

| | | | |
|---|---|---|---|
| ნიუ-იორკში სცხოვრ. | | 1400 | მილიონერი |
| ჩიკაგოში | „ . | 320 | „ |
| ფილადელფიაში | „ . | 220 | „ |
| ბოსტონში | „ . | 190 | „ |
| ცინცინატში | „ . | 80 | „ |
| პიტსბურგში | „ . | 70 | „ |
| ბალტიმორში | „ . | 60 | „ |
| სენტ-ლუიში | „ . | 50 | „ |
| ახალ ორლეანში | . | 30 | „ |

მაგრამ ამათგან ნამდვილ მდიდრებად, მრავალ მილიონების პატრონად, მხოლოდ 49 კაცსა სთვლიან. ნიუ-იორკელი გაზეთი „World“-ი ამასაც არა სჯერდება და ამერიკელ კრეზად მხოლოდ 21 კაცს ასახელებს. თვითეულს ამათგანს წელიწადში 2-დან 112 მილიონ მანეთამდე შემოსავალი აქვს.

თითქმის ყველა ამ მდიდართ თავიანთი ქონება სინდიკატების ანუ „ტრესტების“ შემწეობით შეიძინეს. სიტყვა „ტრესტი“ ნდობასა ჰნიშნავს, მაშასადამე, ის ამხანაგობა, რომელსაც ამ სახელს უწოდებენ, წევრთა ურთიერთ ნდობაზეა დამყარებული. სინდიკატებმა ხელთ იგდეს მთელი ამერიკის ვაჭრობა, მრეწველობა და წარმოება. არც საკვირველია: დიდის თანხით აღჭურვილს სინდიკატს მრეწველნი და ვაჭარნი ვერავითარ მეტოქეობას ვერ უწევენ და თავისდა უნებურად ბურთსა და მოედანს უთმობენ ამ ახლად მოვლენილ ვეშაპს. პირველ ხანს სინდიკატი მოგებას არა ჰფიქრობს; ცდილობს მხოლოდ წარმოების ან ვაჭრობის ამა თუ იმ დარგში თავიდგან მოიშოროს, გააკოტროს, ერთის სიტყვით ბაზრიდგან განდევნოს სხვა ვაჭარნი და მრეწველნი. ამისათვის ფასებს საოცრად უკლებს. ფასის დაკლებას, რასაკვირველია, მცირე თანხის პატრონთა გაკოტრება მოსდევს. როდესაც სინდიკატი ამას მიაღწევს, როდესაც სხვა ვაჭართა და მრეწველთ სრულიად განდევნის, მაშინ ფასებს უმატებს და მრეწველობის ან ვაჭრობის ამა თუ იმ დარგს მონოპოლიად იხდის. ტრესტები პირველად ინგლისში გაჩნდნენ ამ საუკუნის მე-50 წლებში, მაგრამ იქ კანონმა მალე მოუღო ბოლო, ამერიკაში-კი მდიდარნი ადვილად უხვევენ კანონს.

როგორც შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, 1899 წელს ამერიკაში 353 ტრესტი ყოფილა, რომელთა

რომ ოთხისავე კუთხიდგან მშვენიერი ნათელი სამკითხველო დარბაზი გაკეთდება სუფთა ადგილს. ამ საგნის შესახებ თავისს მოხსენებას მცირე კომისია სკოლების გამგე კომისიას დღეს, 16 დეკემბერს, წარუდგენს სხდომაზედ.

*** დღეს, 16 დეკემბერს, ტფილისის ქალაქის გამგეობის სადგომში ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიას სხდომა ექმნება, რომელზედაც განიხილავენ სულ 6 საქმეს. სხვათა შორის, კომისია განიხილავს მოხსენებას ტფილისში სამხატვრო საშუალო სკოლის დაარსების შესახებ, მოხსენებას ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დ რექტორისას სახალხო განათლების მინისტრის მოწერილობის შესახებ, რომლითაც სახელოსნო სასწავლებელში ბავშვების ეროვნების მიხედვით კლასების დაყოფა უნდა მოისპოს, მოხსენებას მცირე-კომისიისას ტფილისში პუშკინის სახელობის სახალხო უფასო სამკითხველოს გახსნის შესახებ და სხვ. სხდომა საღამოს 9 საათზედ დაიწყება.

*** ამ ჟამად ვერაზედ ადგილს სწმენდენ ტფილისის სასულიერო სემინარიისათვის დიდის ქვის შენობის ასაგებად. ეს შენობა ოთხ-სართულიანი იქმნება, ელექტრონით განათებული. შენობის აგებას იანვარს დაიწყებენ და ორის წლის განმავლობაში დაამთავრებენ. შენობის აგება მინდობილი აქვს ხუროთ-მოძღვარს როგოინსკის.

*** როგორც „კავკ." გადმოგვცემს, ტფილისში არსდება მოსწავლეთა დამხმარებელი საზოგადოება. საზოგადოების წესდების პროექტი უკვე შეუდგენიათ. კვირას, 17 დეკემბერს, ამ საზოგადოების წევრებს კრება ექმნებათ გრიბოედოვის ქუჩაზედ, ნაფიც ვექილის ა. ს. ფრენკელთან, რომლისათვისაც მიუნდვიათ იშუამდგომლოს მთავრობასთან ამ წესდების დამტკიცების შესახებ.

*** ქალაქის გამგეობას დაუდგენია, 21 დეკემბერს მოიწვიოს ადგილობრივის ბანკების გამგენი, ზოგიერთი ხმოსნები და საფინანსო კომისიის წევრები მე-3 საობლიგაციო სესხის აღების შესახებ მოსალაპარაკებლად.

*** გუშინ-წინ, 14 დეკემბერს, ქართულ თეატრში, არტისტის გ. გედევანოვის საბენეფისოდ წარმოადგინეს დრამა „ბრჭყალები" და კომედია „დავით რაბინი". უადგილობისა გამო დაწვრილებით ანგარიშს ამ წარმოდგენების შესახებ დღეს ვერა ვბეჭდავთ.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის სადგურები: მარელისი, მუხიანი და ჩაქვა გადაკეთებულ იქმნებიან სრულ სატარიფო სადგურებათ, მარელისი და მუხიანი 1901 წლის 1 იანვრიდგან, ხოლო ჩაქვა ამ წლის 15 დეკემბრიდგან.

*** შინაგან საქმეთა სამინისტროს არ შეუწყნარებია ქ. სიღნაღის შუამდგომლობა იმის შესახებ, რომ ეს ქალაქი განთავისუფლებულ იქმნას ეტაპით გასაგზავნ პატიმართა შენობის დასაქირავებელ ხარჯისაგან, რადგანაც განზრახულია სიღნაღის 1901 წლიდგან ხაზინიდგან 1000 მან. მიეცეს ყოველ წლივ ჯარის ბინების დასაქირავებლად; გარდა ამისა ეს ქალაქი, სხვა ქალაქებთან ერთად, განთავისუფლებულია პოლიციის შესანახ ხარჯისაგანო.

*** კავკასიის მეფუტკრეები ხშირად სთხოვენ ხოლმე კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ ამ საზოგადოების გამგეობამ დახმარება აღმოუჩინოს: გამოუწეროს რუსეთის ქალაქებიდგან სკები და მისი მოწყობილებანი. გამოწერილი ნივთები კავკასიაში ძალიან გვიან მოდის, ამის გამო საზოგადოება სთხოვს ყველა მეფუტრეებს, მიჰმართონ ხოლმე საჭირო ნივთებისათვის ტფილისის საბრეშუმო სადგურს, რომელსაც ყოველგვარი სკები და სხვა საჭირო მასალა აქვს.

*** სახალხო კითხვათა კომისიას განზრახვა აქვს მომავალ საშობაო დღესასწაულებში რამდენიმე სახალხო გასართობები გამართოს.

*** ქალაქის გამგეობას 18 დეკემბრისათვის დანიშნულ საბჭოს სხდომის განსახილველად შეუტანია წინადადება იმის შესახებ, რომ პასუხის გებაში მიცემულ იქმნენ ქალაქის ანგარიშის მწარმოებლად ნამეთვი კარტაშევი, დესატნიკი სტეფანოვი და ნოქარი ჯათიაშვილი, რომელთაც ა. ი. მანთაშევის მიერ შეწირულ ნავთის და შეშის დარიგების დროს ღარიბებისათვის დანაშაულობა ჩაუდენიათ.

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, ტფილისის გუბერნატორმა ამას წინად მოსთხოვა ქალაქის მოურავს სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ინსტრუქცია. ამაზედ ქალაქის მოურავს მოუხსენებია ბ-ნ გუბერნატორისათვის, რომ ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციას ამ ჟამად ინსტრუქცია არა აქვსო.

*** როგორც კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის 1899 წლის ანგარიშიდგან სჩანს, ფილოქსერასთან საბრძოლველად და ამერიკულ ვაზების გასავრცელებლად დახარჯულა: კომიტეტის მოსამსახურეების შესანახად — 53,374 მან. 44 კაპ., გზის ფული და გასაგზავნი შეწყობა — 4,011 მ. 44 კაპ., კომიტეტის გამოცემებისა და საკანცელარიო ხარჯი — 4.487 მ. 65 კაპ., ამერიკულ ვაზების მოსაშენებლად — 35,849 მან. 26 კაპ., სამიკროლოგო ლაბორატორიისათვის — 560 მან. და ექსპერტების საოპერაციო ხარჯი — 9,107 მ. 21 კაპ., სულ ერთად — 107,390 მან.

*** საშობაო დღესასწაულებში ნავთლუღის სამხედრო საფერშლო სკოლაში მოსწავლეთათვის შობის ხეს და წარმოდგენას გამართავენ. წარმოდგენილი იქმნება გოგოლის კომედია „რევიზორი".

*** ქალაქის გამგეობას დაუდგენია, ქალაქის სასწავლებელთა გამგეთ დაურიგონ თხოვნის ბლანკები, რომ მოსწავლეთა მშობლებს გაუადვილონ მათის შვილების მიღება ქალაქის სასწავლებლებში. ეს თხოვნები უნდა წარედგინოს სამოსწავლო კომისიას.

*** სამშაბათს, 12 დეკემბერს, პოლიციის მეათე ნაწილში გამოცხადდა ქსენიევის ქუჩაზედ, კულიჯანოვის სახლებში მცხოვრები ტფილისის საარტილერიო ბრიგადის შტაბს კაპიტანი თავ. კონსტანტინე აფხაზი და განაცხადა, რომ 10 დეკემბერს ვიღაც ბოროტ-განმზრახველმა ჩემი სახლიდგან სხვა-და-სხვა ნივთები მომპარა, სულ 68 მანეთისაო. ეჭვი თავ. აბხაზს თავისს მოსამსახურეზედ განუცხადებია, რომელიც უკვე დაპატიმრებულია. გამოძიება სწარმოებს.

*** ხუთშაბათს, 14 დეკემბერს, პოლიციის მე-5 ნაწილში, გიორგიევის მოედანზედ, ნად. სოვეტნიკის მეუღლის სოფიო მარმაჩევის სახლში მისულა ვიღაც ბოროტ განმზრახველი, რომელსაც ზარის ჩამოკვრით გამოუწვევია მოსამსახურე და გარდაუცია რაღაც მითომდა შემოწირულების სია, რომელზედაც ბატონს ხელი უნდა მოეწერა. როცა მოსამსახურე შინ შებრუნებულა, ქურდს მოუვლია ხელი და რაც-კი მოჰხვედრია, ყველაფერი წაუღია და გაქცეულა. პოლიციამ ბოროტ-მოქმედის აღმოსაჩენად უკვე საჭირო ზომები მიიღო.

## დაბა-სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ლანჩხუთი.** ვეღარაფერს ეშველება რაშე და ლანჩხუთის სამკითხველოს კი ჯერ-ჯერობით, გგონებ, არა. რამდენი კრება, რამდენი მითქმა-მოთქმა, რამდენი მოლაპარაკება, რამდენი კომისია არ ავირჩიეთ, მაგრამ იმის გადაწყვეტა არ იქნა, თუ სად უნდა დაიდგას სამკითხველო. ზოგი ზევით ეწევა, ზოგი ქვევით, ზოგი განზე და ამ გაწევ-გამოწევაში დაბის სული ამოჰხდათონ. ამ დაბების შეთანხმება არას გზით აღარ მოხერხდა, მხოლოდ იმ ადგილს-კი, სადაც ეხლაა, ყველას უნდა, მაგრამ ამასაც, გგონებ, მხოლოდ სიტყვაში იყენებენ, თორემ კარგად იციან, რომ იქ უადგილობისა გამო აშენება შეუძლებელია... აბა როგორ ავაშენოთ იქ, როდესაც გარდა ერთი მხრისა ერთი მტკაველი მიწა არ იშოვება. ერთი მხრით-კი არის ოთხი არშინი მიწა, რომელშიაც შვიდასს მანეთს კაპეიკს არ აკლებენ. აი ასეთ ადგილზედ აბა წარმოსადგენია, რომ შესაძლო იქნას შენობის აგება!? არა და კიდეც იმიტომ ებღაუჭებიან ამ ადგილს. უკანასკნელს კრებაზედ რომ საბოლოოდ როგორმე გადაწყვეტილიყო ეს კითხვა, ავირჩიეთ ხუთი კაცი, რომლებსაც მივანდვეთ ადგილის არჩევა. სადაც-კი აირჩევდნენ ადგილს, ჩვენ უარი არ შეგვეძლო, მაგრამ რა გამოვიდა? კომისიის თითოეულმა წევრმა, წარმოიდგინეთ, თავთავისი აზრი შემოიტანა. ასე რომ, ორიც-კი ვერ შეთანხმდნენ! ამ რიგად, რაკი ხუთნიც ვერ შეთანხმდნენ, ავირჩიეთ ერთი, სახელდობრ ბ-ნი კ. იმნაძე, რომელსაც მივანდეთ ადგილის არჩევა. მის მიერ არჩეულს ადგილზედ უნდა აშენდეს სახლი შემდეგის გეგმისა: ერთი დიდი დარბაზი წარმოდგენისა, საკვირაო სკოლისა, სახალხო კითხვებისა და სხვათათვის. ერთი ოთახი ზედვე სამკითხველოსთვის და ერთიც შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობისათვის. მაგრამ გეგმის შედგენა და აშენება ერთი არა ყოფილა... ჩვენ რომ ეს გეგმა შევადგინეთ, მერმედ დაიწყო ნაგომარმა და ხიდისთავმა ასეთისავე გეგმის სახლის აშენებაზედ მოლაპარაკება და დღეს ორივე ადგილას საძირკველი ჩაყრილია და ახლო მომავალში შენობაც მზად ექნებათ. ჩვენ-კი ხელ-მოწერილი ქაღალდი გვაქვს

---

თანხაც ერთად 11,665,765,684 მანეთს შეადგენდა. ამ მიმდინარე წელს 19 ახალი ტრესტი დაარსდა. ტრესტი იმდენად ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცა ამერიკაში, რომ ბევრმა ხელობად გაიხადა სინდიკატების შედგენა და დაარსება. ყველაზედ მეტად ამ საქმეში ნიუ-იორკელმა ვექილმა, ჯემს დილმა, იჩინა თავი. ამ კაცს დღემდე 33 სინდიკატი დაუარსებია. დილმა ამ ბოლოს დროსაც გააკვირვა ნიუ-იორკელნი: შეარიგა ორი შეურიგებელი მტერი კარნეჯი და ფრიკი და იმათი ორი სინდიკატი ერთად გადააქცია. ამ სინდიკატის თანხა ეხლა $1^1/_2$ მილიარდ მანეთს აღემატება. დილმა გადაკიდებულ მილიონერთა შერიგებისათვის 25 მილიონი ფრანკი მიიღო. ამას გარდა დილი ახალ სინდიკატის იურისკონსულტად დანიშნეს, რისთვისაც წელიწადში 2 მილიონი ფრანკი ჯამაგირი ეძლევა.

უპირველესს მდიდრად დღეს ამერიკაში როკფელლერი ითვლება. ამ კაცს წელიწადში 120 მილიონი შემოსავალი აქვს.

* * *

საინტერესოა ამ მილიონერთა კერძო ცხოვრება. არც ერთი მათგანი ძველებურ დიდ გვარს არ ეკუთვნის, ზოგი წინად მუშად ყოფილა, ზოგი ნოქრად, ზოგი მოხელედ. მაგრამ თითქმის ყველანი გამდიდრების შემდეგ განკერძოებულ ცხოვრებას ატარებენ, სცდილობენ თავიანთ გვარის ამაღლებასა და დიდკაცურად თავის დაჭერას. ამიტომ ამ მილიონერთა წრეში შესვლა არა მილიონერთათვის თითქმის შეუძლებელი საქმეა. მდიდარნი სცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ დიდის გვარის ჩამომავალნი არიან; წიგნებსაც-კი ჰბეჭდავენ, რომლებშიაც ამა თუ იმ გვარის გენეოლოგიაა გამოკვლეული. ასტორს თავისს წინაპრად ინგლისის მეფე ჰენრიხ IV მიაჩნია, კადვალადერს — შოტლანდიის მეფე რობერტ II. სხვებიც ასევე ძველ მეფეებსა და გამოჩენილ გვარებს ებღაუჭებიან. ამერიკელ მდიდართა მეორე გულითად სურვილს ევროპის არისტოკრატებთან დაახლოვება და დანათესავება შეადგენს. მილიონერნი ფულს არ იშურებენ, ოღონდ-კი თავიანთი ქალები ჰერცოგებს, მარკიზებს, ლორდებს, თავადებს და გრაფებს მიათხოვონ. ამ უკანასკნელ ოთხის თვის განმავლობაში ამერიკელმა მდიდრებმა 125 ქალი მიათხოვეს ევროპიელ არისტოკრატებს. კონსუელა ვანდერბილტი, მაგალითად, ჰერცოგს მარლბოროს მისთხოვდა, ლილი პრაისი — ლორდ ბერესფორდს, კორნელია მარტენი — ლორდ კრევენს, მისს იზნაგა — ჰერცოგს მანჩესტერს, მისს ფორბესი — გრაფ შუაზელ-პრალენს, ანნა ჰულდი — გრაფ კასტელანს, ელი გადარდი — თავად პონიატოვსკის, ვინარელლა სინგერი — თავად პოლინიაკს, იმისი და იზაბელლა — ჰერცოგ დეკაზს, მისტრის სტევენსი — ჰერცოგ დინსა და სხვ.

ეს გაკოტრებული არისტოკრატები თავიანთ ცოლების ფულით ხელ-ახლა მდიდრდებიან და, რასაკვირველია, უწინდელებრ ქეიფსა და ნადიმებში ატარებენ დროს. ანნა ჰულდმა თავისს ქმარს გრაფ ბონიფაციო კასტელანს მზითვად 30 მილიონი მანეთი მიუტანა. ექვსის წლის განმავლობაში ახალგაზდებმა უკვე მოახერხეს 15 მილიონ მანეთის გაფლანგვა. ამ რამდენისამე დღის წინად ლონდონში ჯვარი დაიწერეს ჰერცოგმა მანჩესტერმა და ამერიკელ მილიონერის ქალმა ელენე ციმერმანმა. ჰერცოგი ამ ჟამად 22 წლის კაცია. ეს უძველეს გვარის შთამომავალი უთუოდ შიმშილისაგან მოკვდებოდა, ბედს რომ მოწყალე თვალით არ მოეხედნა და ელენე ციმერმანი თავისის მილიონებით არ მოევლინა მისთვის. ჰერცოგმა ცხოვრებაში ბევრი გამოსცადა, ბევრ საქმეს მოჰკიდა ხელი: ჯერ რეპორტიორად იყო ამერიკაში, შემდეგ ლონდონის ერთ თეატრში მესამე ხარისხოვან როლებს თამაშობდა. ეხლა-კი ჰერცოგი ფუფუნებასა და განცხრომით ცხოვრებას მიეცა.

* * *

მოქეიფე და ფულის მხარჯავი ხალხი ამერიკელ მდიდართა შორისაც მოიპოვებიან. პირველად ამ საქმეში თავი იჩინეს ალონზო იატსმა და ლესლი გაინსმა. მამის სიკვდილის შემდეგ იატს 15 მილიონ მანეთამდე დარჩა. ამ დროს იგი ჰარვარდის უნივერსიტეტში სწავლობდა. პირველ თვესვე იატსმა ისე მიჰყო ხელი ქეიფს, რომ რექტორმა შეუძლებლად სცნო იმის უნივერსიტეტში დატოვება. იატსი გობარტის კოლეგიაში გადავიდა, მაგრამ იქიდგანაც მალე გამოაბრძანეს. კოლეგიაში ყოფნის დროს ოთხ სტუდენტთან ერთად იატსი ნიუ-იორკში წავიდა და ამ მოგზაურობას 200,000 ფრანკი მოანდომა. ბოლოს იატსი ისე მუყაითად შეუდგა ქეიფს, რომ ორ წელიწადში ხუთი მილიონი მანეთი მიფლანგა. შემდეგ ლონდონში წავიდა, იქ ვიღაც ქუჩის გოგო შეირთო, მერე რომში ამოჰყო თავი და ბოლოს იქიდგან დასნეულებული, დაავადმყოფებული დაბრუნდა და 15 მილიონიდგან მხოლოდ 200,000 ფრანკი-ღა მოიტანა შინ.

მაგრამ იატს ქეიფში ლესლი გაინსმა ბევრად გადააჭარბა. გაინსმაც თითქმის ჭაბუკობის დროს მიიღო მემკვიდრეობა. იგი უპრალო მწყემსად იყო ნებრასკის შტატში, დღეში რაღაც 80 კაპეიკს იღებდა. ერთ მშვენიერ დღეს ბონტიდგან ვექილი ჩავიდა და გამოუცხადა, რომ ბიძაშენმა 12 მილიონი მანეთი დაგიტოვაო. გაინსმა საქმე იმით დაიწყო, რომ იქვე ვექილს 100,000 ფრანკი ესესხა და მახლობელ ქალაქში მეგობარ მწყემსთან ერთ ღამეში გაფლანგა. შემდეგ ვიღაც გაკოტრებულ არისტოკრატის რჩევით ჩიკაგოდგან განსაკუთრებულ მატარებლით სოკოები და ძეხვები დაიბარა. როდესაც მატარებელი მოვიდა, გაინსმა ისეთი ნადიმი გამართა, რომ მთელი ამერიკა გააკვირვა. სამი დღე-ღამე ქეიფი არ შეწყვეტილა. მაღაზიები, დუქნები, კანტორები სულ დაკეტილი იყო. სამი დღე ადგილობრივი გაზეთიც-კი არ გამოსულა, რადგანაც თანამშრომელნი, რედაქტორიდგან დაწყობილი ასოთამწყობამდე, ძალზედ მთვრალები ეყარნენ ქუჩაში. შემდეგ სამშობლო ქალაქი გაინს მცირე სამოქმედო ასპარეზად ეჩვენა და 50 მეგობრითურთ დერვუდში გადავიდა. აქ ერთ ტეატრში წარმოდგენებს მარტო ამ 51 კაცისთვის ჰმართავდნენ. ორი კვირის შემდეგ გაინსი სან-ფრანცისკოში წავიდა, მერე მექსიკაში, იქიდგან იაპონიასა და ავსტრალიაში და ბოლოს ცარიელ-ტარიელი, უგროშოდ უკანვე დაბრუნდა. გარდაიცვალა გაინსი 1898 წელს ნებრასკაში, ფერმაზედ, სადაც წინანდელმა ამხანაგებმა, მწყემსებმა, თავიანთის ხარჯით დაასაფლავეს. 12 მილიონი მანეთი გაინსმა 27 თვის განმავლობაში გაფლანგა.

სხვა მილიონერები კიდევ სხვა საქმეებზედ ხარჯავენ ფულს. ჯემს მორტიმერი, მაგალითად, ყოველ წელიწადს თავისს ძაღლებზედ 10 მილიონ მანეთსა ჰხარჯავს.

ი. ა—ძე

მზად და მეტი არაფერი. ნუ-თუ სირცხვილი არ იქნება, რომ ლანჩხუთს ნაგომარი აძლევდეს მაგალითს? სირცხვილი-კი არა, მეტიც იქნება, მაგრამ რას იზამთ? სწორედ მეოთხე თვეა მას შემდეგ, რაც ბ-ნს გ. იმნაძეს მივანდეთ ამ კითხვის გადაწყვეტა და ჯერ კიდევ არ გაგვიგია, სად აირჩია ადგილი. უმორჩილესად ვთხოვთ ამისათვის ნუ დაიზარებს შრომასა და დროზედ აცნობოს რამე ამ ჩვენს ბედ-შავს სამკითხველოს. ჩვენ სრულიად ვენდობით მისს კეთილსინდისიერებას, რომ ის არც ერთს დასს არ მიემხრობა და იხელმძღვანელებს მხოლოდ საზოგადო საქმის ინტერესით, რითაც დიდსა და სამახსოვრო სამსახურს გაუწევს სამკითხველოს.

გ. ურატაძე

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი.** ლონდონიდგან იუწყებიან: „კიტჩინერი გვატყობინებს, რომ კაპის ახალშენის მდგომარეობა გაჭირვებულია. ახალშენის ჰოლანდიელნი მცხოვრებნი ბურებს მხარს უჭერენ. ჯარის მიშველება საჭიროაო“. სამხრეთ-აფრიკიდგან დაბრუნებული ერთი ინგლისელი ოფიცერი ომის ასე გაგრძელებას იმითი ჰხსნის თურმე, რომ ინგლისელი ოფიცრები ერთი-ორად მეტს ჯამაგირს იღებენ და არ უნდათ მალე მოუსპონ იგი; მეორეც, საშინლად განაზებულნი და სამხედრო მოქმედებისათვის სრულიად გამოუსადეგარნი არიანო.

„Central News“-ის, სატელეგრაფო სააგენტო ნოოტგედახტთან მომხდარ ომის შესახებ პრეტორიიდგან შემდეგს ამბავს იუწყება: როდესაც გენერალის კლემენტსის ჯარმა უკან დაიხია, ისე მედგრად იბრძოდნენ ტყვიას ბურები, რომ გენერალი იძულებული შეიქმნა სამხედრო იარაღისა და ტყვია-წამლის ერთი ნაწილი ადგილობრივ დაეტოვებინა და ისე გაქცეულიყო. ბურებს ეს სურსათი ეგონათ და ცეცხლი მოუკიდეს, მაგრამ ტყვია-წამლმა იფეთქა და რამდენიმე ბური იმსხვერპლა. კლემენტსის გაქცევის შემდეგ გზა მოკლულ ამხედრებულ ქვეითა ჯარის კაცთა გვამებით სავსე იყო, რომლებიც კლემენტსის უკანა ჯარს საფარად ჰყავდნენ. უცნაურიაო, შენიშნავს ამის შესახებ ერთი გაზეთი,—როდესაც პირველად ამ ამბის შესახებ იუწყებოდნენ, ირწმუნებოდნენ ინგლისელები, რომ კლემენტსმა უკან დაწევის დროს მხოლოდ კარვები დაუტოვა მტერსაო და ახლა-კი იტყობინებიან, რომ კლემენტსმა საომარი იარაღი და ტყვია-წამალიც დასტოვაო: ალბათ იმისთვის, რომ ამ ტყვია-წამლით შემდეგ რამდენიმე ბური აეფეთქებინათო!..

— ბაკალისბურგში ნორტუმბერლანდის ფუზილერებისათვის ბურებს 80 კაცი მოუკლავთ და დაუჭრიათ.

— როგორც მოგეხსენებათ, სამხრეთ-აფრიკის დამამშვიდებელი (?) სამხედრო გმირი ლორდი რობერტსი სამშობლოში დაბრუნდა. ინგლისელებისათვის, რასაკვირველია, სირცხვილი იქნებოდა, რომ რობერტსისათვის შესაფერი პატივი არ ეცათ, მაშინ როდესაც შერცხვენილს ბულლერს იმ ამბით დაუხვდნენ. ამისათვის ინგლისელები ახლავე დიდს მზადებაში თურმე არიან. როგორც გაზეთები იუწყებიან, რობერტსს თურმე მიეგებებიან: უელსის პრინცი, სამეფო გვარეულობის დანარჩენნი წევრნი და ინგლისის მხედრობის მთავარი შტაბი. ამავე დროს ინგლისელებს განზრახვა ჰქონდათ, რომ საეკკლესიო წესისამებრ ღვთის-მსახურებაც გარდაეხადნათ გამარჯვების გამო, მაგრამ, რადგანაც მოულოდნელად ომმა სულ სხვა მიმართულება მიიღო, გარდაუწყვეტიათ, სამადლობელი ღვთის მსახურება ომის სრულიად დასრულებამდე გადადებულ იქმნესო.

— შვეიცარიის სახელმწიფო მოღვაწემ მანცონიმ ამ წინაზედ ნაციონალურს (საკრო) საბჭოში წინადადება შეიტანა, რომ ინგლის-ტრანსვაალის საქმეში ჩარეულიყვნენ და ბურებისათვის მედიატორეთა სამართალი გამოეთხოვნათ. მანცონის ახლა შვეიცარიის გაზეთებში საკმაო ვრცელი წერილი დაუბეჭდნია, რომელშიაც ამ თავისს წინადადებას დაწვრილებით ასაბუთებს. სხვათა შორის, ამბობს იგი:

„ჩვენთვის არა ერთხელ გაუმეორებიათ, რომ სხვის სადავო საქმესა და შეტაკებაში არ ჩავერიგნეთ ხოლმე, თუ რომ იგინი პირდაპირ ჩვენ არ გვეხებიან, რადგანაც ასეთ საქმეებში ჩარევა უკანონოაო, მაგრამ ნუ-თუ ეს აზრი სამართლიანია? საქმეში ასე ჩარევის უფლება ზნეობრივად ყველა ერსა აქვს და მართლდება კიდეც იგი განათლების იმ კანონით, რომელსაც „ყველა ერთათვის დამოუკიდებლობა“ ჰქვიან. ეს იქამდის ჭეშმარიტებაა, რომ ჰააგის ხელშეკრულობა, როგორც ცდა „ომის ზნეობრივად გაფაქიზებისა“ (თუ რომ ეს შესაძლებელია ერთი მეორეზედ გადაებას), ჰააგის კონფერენციამაც პოლიტიკურად უფლება-მოსილად სცნო. უნდათ დაგვიმტკიცონ, რომ ჰააგის ხელშეკრულობის დადგენილებანი სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკებს არ ეხებიან. მაგრამ ნუ-თუ ადამიანობისა და განათლების დადგენილებანი ამ რესპუბლიკებსაც ისრევე არ ეხებიან, როგორც სხვებს? ნუ თუ იგინი ზნეობისა და უფლების გარეშე სდგანან? თუ რომ ეს პაწია ერი საერთაშორისო ხელშეკრულობის სხდომებში მონაწილეობას არ იღებდა, ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ ჩვენ მათის ძარცვა-ხოცვის უფლება გვაქვსო. მაგრამ გარდა ამისა, საქმეში ჩარევის უფლებას გვაძლევს აგრეთვე ისტორიული საბუთები, რომელთა მოწმობითაც თვითონ ინგლისი მრავალჯერ ჩარეულა საქმეში. 1848 წ. ინგლისის პარლამენტმა იტალიის მხარი დაუჭირა და ინგლისის ესეთი მოქმედება ყველა ერმა მოიწონა. მაშ ინგლისი ახლა რადგად ეწინააღმდეგება საქმეში სხვათა ჩარევას, როდესაც სადავო საგანი პატარა, სუსტს ერს შეეხება“.

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

14 დეკემბერი

**კაპშტადტი.** როგორც ხმა დადის, იომანრების ესკადრონი, რომელიც ბრიტსტოუნისაკენ მიქცეულს ბურებს თურმე სდევნიდა, ბურების ჩასაფრებულს ადგილას მოჰხვედრია და დიდად დაზარალებულა; დანარჩენი ნაწილი ბურებს ტყვეთ წაუყვანიათ.

**შანხაი.** შენსიში მყოფი კათოლიკეთა მღვდლები იუწყებიან, რომ ქვრივს იმპერატრიცას მხოლოდ 3,000 კაცი იცავს და საიმპერატორო სახლობის გულწრფელობას არ დაეჯერებაო.

**ლონდონი.** იტყობინებიან, რომ სამის კვირის განმავლობაში სამხრეთ აფრიკაში ახალის ზელანდიის მეორე რაზმს გაჰგზავნიან, რიცხვით 200 კაცს; ნახევარი რაზმი მაიორისებისაგან იქმნებაო შემდგარი.

**შანხაი.** ტაოტაომ შენმა მინდობილობა მიიღო, რომ სახელმწიფოებთან მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღოს. შენი დაუყოვნებლივ პეკინში მიდის.

**პეკინი.** პაოტინფუდგან დაბრუნებისას გერმანელი ჯარი უწყალოდ სასტიკადა ჰსჯიდა იმ ქალაქებსა და სოფლებს, რომლებიც, ვალდერზეეს თანხმობით, ამ წინაზედ გენერალმა რიჩარდსონმა ინახულა და რომლებმაც რიჩარდსონის მიერ მიცემული განკარგულებანი უყურადღებოდ დასტოვეს. ისპანიის ელჩი იმ აზრისაა, რომ სახელმწიფოების მოთხოვნილებათა უმეტესობაზედ ჩინეთის მთავრობა დაუყოვნებლივ თანხმობას განაცხადებს; რაც შეეხება მოხელეთა დასჯას, ამან, შეიძლება, მთელს წელიწადს გასტანოს. კონჯერი აცხადებს, რომ ქვრივს იმპერატრიცას ოფიციალურად არც ერთი ელჩი არ აღიარებსო. ლიხუნგ-ჩანგის აზრით, სახელმწიფოთა საერთო ნოტაზედ პასუხს ჩინეთის მთავრობა ათს დღეზედ ადრე ვერ მისცემს.

**იოჰანნესბურგი.** კიტჩენერმა პროკლამაცია გამოსცა, რომელშიაც აცხადებს, რომ ბურგერებს, რომლებიც თავისის ნებით დაგვმორჩილდებიან, ნება ექნებათ თავისის ოჯახობით მთავრობის საბანაკო ადგილებში იყვნენ, ვიდრე საქმეთა გარემოება ნებას მისცემს თავისს სამშობლო ადგილებს დაუბრუნდნენო. მათს ქონებას მთავრობა მფარველობას გაუწევს, ხოლო თუ გარემოება მოითხოვს და ვისიმე ქონება ომის საჭიროებათათვის მოხმარებულ იქმნება, მაშინ ღირებული ფასი მიეცემათო.

**ბურგერსდორპი.** ბოლკოვნიკი გერნფელდი 700 კაციანს რაზმს სდევნის. იგი თითქმის დაეწია მტერს, მაგრამ დაჭერით ჯერ ვერ დაუჭერია. წარსულს ორშაბათს ულანთა მეცხრე რაზმმა 8 კაცი დაჰკარგა, რომელთა შორისაც მარკიზის დეფფერინის შვილი, პორუჩიკი ფრედერიკ ბლეკვუდი დაჭრილია. კაპის ჰოლლანდიელნი ბურებს აღარ უერთდებიან.

**ნიუკესტლი.** ზარბაზნების ქარხნის ცნობილი მეპატრონე ლორდი ამსტრონგი დღეს გარდაიცვალა.

**კაპშტადტი.** ბურების პატარა რაზმმა 11 დეკემბერს ბურგერსდორპზე იერიში მიიტანა, მაგრამ ცხარე ბრძოლის შემდეგ უკუ-ქცეული იქმნა. მტერი დიდს მხნეობას იჩენს; სხვა-და-სხვა ადგილიდგან ცნობები მოდის, რომ ბურებს ინგლისელებთან შეტაკება აქვთ.

15 დეკემბერი

**პეკინი.** სრულიად სარწმუნო წყაროდგან იუწყებიან, რომ ლიხუნგჩანგმა და ცინმა საერთო ნოტასთან ერთად იმპერატორს გაუგზავნეს აგრეთვე თავისი აზრი, რომლითაც ურჩევენ წარდგენილი პირობები დაუყოვნებლივ და უარის უთქმელად მიიღონ. ეს რჩევა თავდებია, რომ უთუოდ დაუყოვნებლივ შეასრულებენ. გარდა ამისა, როგორც ამბობენ, ლიხუნგჩანგსა და ცინს გარდაუწყვეტიათ, რომ პეკინში სამოქალაქო მმართველობის აღსადგენად მოკავშირეთა კრების დახმარება ითხოვონ. როგორც კი იმპერატორი სახელმწიფოთა მოთხოვნილებებზედ თანხმობას განაცხადებს, მაშინვე ამ შუამდგომლობას დაიწყებენო.

**პარიჟი.** პალატამ ჩინეთის ექსპედიციის დამატებითი სესხი განიხილა და ამ აზრით 25 მილიონი ფრანკის სესხი მიიღო.

**ლონდონი.** კიტჩინერის დეპეშა პრეტორიიდგან: „გენერალის ნოქსის ჯარი დევეტის ჯარს ებრძვის, რომელსაც ლევუკოპთან უჭირავს სიმაგრე. დევეტს იმედი აქვს, რომ ჯარს გაარღვევს და სამხრეთისაკენ წავა. ბურების აღმოსავლეთის რაზმს კაპის ახალშენში რეიტსპორტსპრუიტთან იჭერენ ინგლისელები და აღარ უშვებენ. როგორც იუწყებიან, დასავლეთის რაზმი ჩრდილოეთისაკენ წასულა და ორ ნაწილად გაყოფილა, რომელთაგანაც ერთი ჰრიესკისაკენ წასულა, მეორეს სტრიდენბურგზედ გაუვლია; ინგლისელები უკან მისდევენ“.

**ლონდონი.** კიტჩინერი პრეტორიიდგან შემდეგს იუწყება: „წარსულს ღამეს ბურებმა უტრეხზედ იერიში მიიტანეს, მაგრამ უკუ-ქცეულ-იქმნენ და ორი კაცი მოუკლეს; ჩვენ მხრივ ერთი იქმნა დაჭრილი. აღმოსავლეთ რკინის გზის ლიინდაგზედ პანის მახლობლად ბურებმა მატარებელი შეაყენეს, მაგრამ ახალ მიშველებულმა ჯარმა იგინი უკუ-აქცია, რომლის დროსაც ბურებს 8 კაცი დაეკარგათ; ამათგან ერთი მოკლულია; ჩვენგანი ერთი მოკლულია, ოთხი დაჭრილი. ბურების აღმოსავლეთის რაზმი კაპის ახალშენში გუშინ დამარცხებულ და ვენტერსდოტისაკენ განდევნილ იქმნა; დასავლეთის რაზმი ისევ ჩრდილოეთისაკენ იქმნა უკუქცეული“.

**ლონდონი.** ამბობენ, რომ პრუსკსთან ტყვედ წაყვანილი იომანრები ჩვენ მიერ დევნის დროს ბურებს ისევ გაუნთავისუფლებიათ, წაურთმევიათ მხოლოდ ცხენები, იარაღი და უნაგრები. იომანრებს ბურებისათვის დიდი ზარალი მიუყენებიათ: დაჭრილია ათი კაცი, ამათში ერთი პოლკოვნიკიო.

**ტიანძინი.** ინგლისის ჯარის 1,100 კაცი ორი ზარბაზნით და გენერალის კიმმენსის უფროსობით „დიდის მუშტის“ წინააღმდეგ საბრძოლველად და რკინის გზის დასაცველად იანტუანისაკენ მიდის. ეს ის „დიდი მუშტია“, რომელიც ხენაუსთან ფრანგებმა დაამარცხეს. ტასუსა და ტიანძინსშუა მდინარესთანაც „დიდის მუშტისა“ და მდინარის მეკობრეთა წინააღმდეგ ჰმოქმედობენ მოკავშირე ჯარები.

**პარიჟი.** პოლკოვნიკმა პიკარმა ვალდეკ-რუსსოს წერილით მიჰმართა, რომლითაც წინააღმდეგობას აცხადებს სენატის მიერ დამტკიცებულს ამნისტიის კანონში რად მომაქციეთო. იგა მართლ მსაჯულების დამარღვეველს ამნისტიაზედ უარს აცხადებს. არა სურს თავი ამნისტიით იმართლოს.

**პეკინი.** ხვალ პეკინიდგან ამერიკის ჯარს გაჰგზავნიან, რომ ადგილობრივ ქრისტიანეთა დაწვისათვის ჩინელები დასაჯონ.

**პეკინი.** ცინმა და ლიხუნგჩანგმა იმპერატორისაგან ცნობა მიიღეს. ცინმა ლიხუნგჩანგი ინახულა. სასახლეს საგულისხმიერო საბუთები წარმოუდგენია სიმაგრეთა დაცვისა და აგრეთვე იმის წინააღმდეგ, რომ მისსიების დასაცველად ევროპის სახელმწიფოებმა საკმაო ჯარები იყოლიონ; სასახლის აზრით, თუ რომ საჭიროება მოითხოვს, ჯარის გაძლიერება ყოველთვის შესაძლებელი იქმნება. ეს მოთხოვნილება მხოლოდ საიმპერატორო სასახლის შესაშინებლად არისო წარმოდგენილი. მოლაპარაკების შემდეგ ცინმა და ლიხუნგჩანგმა გარდასწყვიტეს, რომ ვიდრე ელჩებთან მოილაპარაკებდნენ სასახლეს ერთხელ კიდევ დაეკითხნენ.


## განცხადებანი

### ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამითი აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 1900 წლის 16 დეკემბერს, ნაშუადღევის 1 საათზედ, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლითაც გაიცემა იჯარით ლისოგორის ვიწრო ქუჩის მოკირწყვლა, სიგრძით 96,21 საჟენი, 854 მანეთის ღირებულებისა.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან განიხილოს დაწვრილებითი პირობები გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. (1—6.—1)

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

ჰიგიენური

ბორსო-გლიცერინის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს ყვითელს ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი. ლონდონი 1893 წ.

**ფასი თითო ნაჭერისა 50 კაპ., 1/2 ნაჭერი 30 კაპ.**

იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობები გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. ю. (48—6.—30)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 15-го Декабря 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე